ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6176294

ნომერი: AR1921884

თარიღი : 08.09.2022

გაცემის თარიღი : 24.10.2022

გაცნობის თარიღი : 24.10.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ევგენი მიქელაძის ქუჩა N9ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა შარაშენიძე პ/ნ 17001000043
- ვანი ს. ტობანიერი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 ივლისის №5488224 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 08 სექტემბერს №AR1921884 განცხადებით მომართა მამუკა შარაშენიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 06

ივლისის №5488224 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და „ა“ და „ბ“ ბლოკების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცალ-ცალკე დაფიქსირება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 06 ივლისის №5488224 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №9ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.03.023.089), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "გოკი და კომპანია" (ს/ნ: 204553438).
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 06 ივლისის №5488224 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ბრძანებაში, თითოეული ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირებას.
სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882022047384, მომზადების თარიღი: 21/01/2022 წ.) თანახმად, №01.13.03.023.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბაუსტარი მმ“ (ს/ნ: 404504639).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19106041; მომზადების თარიღი: 03/10/2019 წ.) შპს „ბაუსტარი მმ“-ის (ს/ნ: 404504639) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ნატო ბერიკაშვილი და ქრისტიან შარაშენიძე, რომლებიც შპს „ბაუსტარი მმ“-ის (ს/ნ: 404504639) წესდების თანახმად, საზოგადოებას მესამე პირებთან წარმოადგენენ ერთობლივად. სამსახურში წარმოდგენილია ნატო ბერიკაშვილის და ქრისტიან შარაშენიძის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული 2022 წლის 18 ოქტომბრის მინდობილობა.
ასევე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22010683; მომზადების თარიღი: 07/02/2022 წ.) შპს „გოკი და კომპანია“-ს (ს/ნ: 204553438) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქრისტინა შარაშენიძე. სამსახურში წარმოდგენილია ქრისტინა შარაშენიძის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული 2022 წლის 18 ოქტომბრის მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 ივლისის №5488224 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:
„ა“ ბლოკი:
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 9688.0
- საერთო ფართობი (კვ.მ): 22759.0
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 10850.3
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 3981.8
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 2964.8
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 1578.0
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 426.9
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 2957.2
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 70135.6
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 60365.9
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 9769.7
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 84.09
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 80.59
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 3.5
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 2866.9 კვ.მ.
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 17340.0 კვ.მ.

„ბ“ ბლოკი:
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 9688.0

- საერთო ფართობი (კვ.მ): 1744.8
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 796.8
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 380.2
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 26.4
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 541.4
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 5534.1
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 3462.4
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 2071.7
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 12.48
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 8.98
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 3.5
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 872.2 კვ.მ.
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 872.2 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი: 3763.9 კვ.მ., „ა“ და „ბ“ ბლოკების კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 3472.7 კვ.მ. / 9688.0 კვ.მ. = 0.4, კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 18212.2 კვ.მ. /9688.0 კვ.მ. = 1.9, კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 1321.7 კვ.მ /9688.0 კვ.მ = 0.1.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 ივლისის №5488224 ბრძანებით შეთანხმებული „ა“ და „ბ“ ბლოკების -3.30, 0.00, +3.98 და +7.98 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული „ა“ და „ბ“ ბლოკების ამავე ნიშნულის გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 ივლისის №5488224 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 ივლისის №5488224 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.